

საბავშვო
ბაღი




— ამ ცოლ-ქმარს კარგომეცხეთრული სურვილები არ გაუჩნდეთ
და სულ არ დაგვარებან ეს საბავშვო ბაღი!..

საბავშვო

ISSN 0132-6015

5-84



და მალე, მალე მოვიღებს ბოლოს!

„როგორც აჩინე, ისე არჩინე!“ — ასეთი უსულგულო უტიფარი პასუხი მიანხალა ხუთი შვილის ქართველ დედას ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა, როდესაც ქალი მასთან საბინაოსაყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად შევიდა.

„როგორც აჩინე, ისე არჩინე!“ — ბიუროკრატის პასუხი ცივი შენ შეუკვეთე შენს გულს საშინელს, იმ გულს, სხვების რომ ვერ იგებს ტკივილს, იმ გულს, რომელიც ქვა არის მხოლოდ და არაკაცის სხეულში ფეთქავს, იმ გულს, რომელმაც შენს ენას ბოროტს რქვა. — ეს პასუხი უნამსად ეთქვა ქართველ ქალისთვის, ვინც სუთ შვილს უზრდის მამულს და წმინდა ესა აქვს ვალი! შენ კი ვინა ხარ?! — ეშმაკის ბუდის ხარ არაკაცი, ფიტული მქრქალი! „როგორც აჩინე, ისე არჩინე!“ არა გსმენია ამაყად თქმული, რომ ამ დედებმა გადაარჩინეს ქართული კერის უკვდავი სული, რომ ამ დედებმა თავისი მოდგმით არ ამოშანთეს ქართული ფუძე. თუმც ნახეს გუბე ცრემლის და ცოდვის და ბევრჯერ სისხლის მდინარეს უცემ თუ წაუღეკავს აკვნები მათი, მაინც ქვეულან იმედის კვესად, არ გატყუილან ვაგებით, დარდით, კვლავ აგრძელებდნენ სიცოცხლეს ჩვენსას, აჩენდნენ შვილებს და ქართულ ძელქვას ნედლი რტობით მოსავდნენ კვლავაც, შენ კი, ურჩხულად განეხილს ქვეყნად, თან დაგყოლია შხამ-გესლი ავად და შენ მაგ სკამზე უძრავად ზიხარ, როგორც რამ ნივთი უსულო, ფუჭი, უსახო კაცის ატარებ ნიღაბს, არ გრძნობ, სხვას თუ რა ტკივილი უჭირს, არ გრძნობ და, ვაგლან, არც გინდა გრძნობდე და შენში ბილწი რეგენი ცხოვრობს, სიმართლის რისხვა შენ კვალში მოგდევს და მალე, მალე მოვიღებს ბოლოს!..

გიორგი შთაქაური

სარკამარტო ლექსიკონი

- ცოლი — არსება, რომელშიც ყველაზე კარგად ცუდს ვამჩნევთ, ყველაზე ცუდად — კარგს.
რვა მარტი — დღე, რომელსაც ქალები სისარულით ხვდებიან და გულის ტკივილით აცილებენ.
იდეალური ცოლი — ქალი, რომელსაც საკუთარი იდეა არა აქვს (დესპოტი ქმრის გაგებით).
წუნმდებელი — ჭირვეული საპატარძლო.
ქალის ტვირთი — ქმარი, რომელიც ცოლის კმაყოფაზეა.
ყურადღება — უყურადღებო მამაკაცთა სარკამარტო თვისება.
უტილიტარისტი — ქალი, რომლისთვისაც ქმარი მეწველი ძროხის ფუნქციას ასრულებს.
ქორვაჭარი — პიროვნება, ვის დანახვაზეც ქალებს თვალები უბრწყინავთ, მათ მეუღლეებს კი — უბნელდებათ.
იმედგაცრუება — ერთი ნახვით შეყვარების ფინიში.
ს. ჯერა — ვინც ადრე თავს იწონებდა, მერე კი აწონებს.
ღირსება — ჩასაც სხვა ქალში უკეთ ხედავს მამაკაცი, ვიდრე საკუთარ ცოლში.
ჯელსაქმე — დროის და უფროსის გულის მოკვლის საშუალება დაწესებულებაში.
ქათინაური — შექება, რასაც მამაკაცები ყველა ქალის მიმართ იყენებენ, გარდა საკუთარი ცოლისა.
ტელეფონი — აპარატი, რომელიც ჯერ ალვივებს ქალთა ცნობისმოყვარეობას, მერე კი აცხრობს.
მოდა — ყველა ქალის ერთსულოვნებისა და თანხმობის საგანი.

ალმანჯორ თაჰაძე



— რვა მარტი არ იყოს, მე ვიცი რასაც ვუზამდი!..

მოვიბოთ დიდი ანბარიშით!


საქართველო
საზოგადოებრივი

- კი მაგრამ, აქ სარეპარტო სუფრა თუ საპრობლემო კომისიის სხდომა?
- ორივე რომ იყოს, რა გაუფუჭდება?
- გამრავლების საკითხი ნომერი პირველი პრობლემა!
- მერე, მაგას ლაპარაკი უშველის?
- ლაპარაკიც საჭიროა!
- ნებას ვაძლევ საკუთარ თავს შეგახსენოთ, რომ ქართული სუფრა აკადემიაა!..
- იქნებ სუფრის წევრები აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ვართ და არ გვახსოვს?
- გამრავლებაზე ყველა ბევრს ლაპარაკობს და...
- ლაპარაკის უფლება სხვაზე მეტი მას აქვს, ვისაც ბევრი შვილი ჰყავს.
- აქეთ რატომ იყურებით, ერთშვილიანი მარტო მე ვარ?
- ერთშვილიანობას ვინ ჩივის, ზოგს საერთოდ ცოლიც კი არ ჰყავს!
- ზოგი გაუთხოვარია!
- ზოგიც კანდიდატია!
- კანდიდატობა და დოქტორობა რა შუაშია?
- მე ვამბობ გათხოვების კანდიდატებზე.
- ოოო, მასეთები, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრი გყავს.
- ერთი დამსახურებული კანდიდატი მე ვარ.
- სხვისი არ ვიცი, გენაცვალე, და მე კანდიდატობის ვადა ნამდვილად გამივიდა... ყველაფერი ისე დავამთავრე, არც დამიწვია... ისე, ღმერთო შეგცოდე და, შვილი მინდა...
- იშვილე მერე!
- ამისი დროც გამივიდა, შვილიშვილი ვიშვილო?
- რაც შეგიძლია, ის გააკეთე!
- რაც შემიძლია, ვაკეთებ. ვარ ჩემთვის.
- ეს უმოქმედობაა!
- კაცო, ლამარას რას ჩააცივდი?! აი, ის იკითხე, რატომ არიან ერთ შვილზე გაჩერებული: თინა, მანანა, ნანა...
- სხვებისა არ ვიცი და, მანანას საპატიო მიზეზი აქვს! ა, ბატონო, ჰკითხე და გეტყვი!
- რა უშლის ხელს?
- წელის ტკივილი - რადიკულიტი...
- კი მაგრამ, საზღვარგარეთ რომ დაჯირითობ, მაშინ არ გტკივა წელი?
- კაცო, წელი მე კი არა, ჩემს დედამთილს ტკივა.
- ეს ხალხი გადამრევს! დედამთილი რა შუაშია?
- როგორ თუ რა შუაშია?! ბავშვი თავისით გაიზრდება?! გარდა ამისა, აქ ზოგი რამ გასარკვევია. დავუშვათ, ამ საქმეს ხელი მოეკიდე, ხომ უნდა ვიცოდე, ნორმა რამდენია?
- რაც მეტია, უკეთესია!
- და მაინც...
- კაცო, დედისა და მამის მავიერი ხომ უნდა დარჩეს? ეს უკვე ორია! ამის შემდეგ რასაც დაუმატებ, შენს სინდისზეა დამოკიდებული.
- გამოდის, რომ სამი შვილი ნიშნავს გამრავლებას?
- არა, სამი ნიშნავს გამრავლების დაწყებას. ნამდვილი გამრავლება ოთხი-ხუთი შვილი!

ი უ მ ო რ ე ს კ ა



- ერთი შეკითხვა მაქვს: გამრავლება რომ იწყება, შესაბამისად პირობების გაუმჯობესება თუ იწყება?
- რამდენი ბავშვიც გაჩნდება, იმდენი ბინა უნდა მოგცენ?
- თუ მთლად ეგერ არა, დაასლოებით ამაღავარად...
- ალბათ, დადგა დრო, ერთი სიტყვა მეც ვთქვა!
- ყურადღება! მოუხსმინოთ ოთხშვილიანი ოჯახის მამას. სხვათა შორის, ჩვენდა სავალალოდ, ასეთი ოჯახი ამ სუფრაზე ერთადერთია. გისმენთ, ბატონო ნიკო!
- ალბათ, ყველას გაგიგონიათ სიმღერა „მიყვარს ფაცსა მე მეგრული...“
- როგორ არ გაგიგონია!
- გაგიგონია კი არა, გვიმღერია კიდევ!
- და ამ „შთა კორტოსზე წამოდგმულ“ ფაცხაში მრავალშვილიანი ოჯახები ცხოვრობდნენ. მათ 6-7 შვილი ჰყავდათ.
- წარმოგიდგენია ფაცხის კომუნალური მომსახურება?
- კი მაგრამ, „სტენკა“ როგორ ეტეოდა ფაცხაში?
- ისე, კარგი ჰაერი არ მოაკლდებოდათ!
- მიუხედავად ამისა, ბავშვებს არც ზემო ს.ს.სუნთქვი გზების კატარი ჰქონდათ და არც ქვემოსი.



- ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ფაცხას არც საძინებელი ოთახი აქვს და არც ლოჯია!
- კედლები ხმის გამტარი ყოფილა.
- ბავშვების ხმაური გარეთ გადიოდა?
- ჩემი აზრით, არც ერთი მუსიკა არ შეედრება ბავშვების ქრიალულს!
- ეგ შენი აზრი არ იქნება. სად წაიკითხე?
- ერთმა სწავლულმა თქვა, თუ ორმოც წლამდე სახლი ბავშვების ხმებით არ აივსება, მაშინ იგი საშინელებების ხმებით აივსებაო.
- მაგარი ჩაკაკუნებაა, ვინც გაიგებს!
- ამიტომ საჭიროა აკვნების სადღეგრძელო დანიშნოს!
- უფრო სწორად, ბავშვიანი აკვნების!
- ყოჩაღ, შოთა! ერთით ნული! ზუსტად ცხრიანში მოახვედრე!
- სხვათა შორის, ფეხბურთის მატჩის შედეგებსა და შვილიანობას შორის პარალელურად შეიძლება გავავლოთ!
- არ გაამაგიჟო, შოთა!
- გამრავლება და ფეხბურთი?!
- მე პროტესტს ვაცხადებ. კოლექტიურობა გამრავლების საკითხში არ გამოდგება!
- მეტი მართალია, აქ ინდივიდუალური მიდგომა საჭირო!
- კაცო, მე მაცლით თუ არა?
- ბოდიში, ბრძანეთ, შოთა!
- შოთა, იმას გეუბნებოდით, ფეხბურთსა და გამრავლებას შორის არის რაღაც საერთო. აი, მაგალითად, ერთშვილიანობა წაგეზა, რადგან ორი აჩენს ერთს. ფეხბურთის გულშემატკივარმა იცის, რა ძნელი ასატანია წაგება. ორშვილიანობა ნიშნავს ფრეს. ანგარიშია 2:2. სამშობლოს არავითარი მატება!
- სამშვილიანობაა, როცა იგებ მინიმალური უპირატესობით. ამას შიში და კანკალი ახლავს, რადგან ანგარიშის ბუდი ბევრზე ჰკიდია.
- მრავალშვილიანობა სასიხარულო და დიდად სასიამოვნო მოვლენაა და ამიტომ იგი შეიძლება შევადაროთ მოგებას დიდი ანგარიშით...
- ბატონო შოთა, უშვილობა როგორ იქნება საფეხბურთო ტერმინოლოგიით?
- უშვილობა ჰგავს თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნას ან პენალტის გამოუყენებლობას.
- გენიოსი ხარ, შოთა!
- რადგან ასე გავგანათლევ, ბარემ ისიც გვითხარო, როგორ დაინახება ფეხბურთის მსრიდან ბურბიჭობა და შინაბურობა?
- როგორც საკუთარ კარში გატანილი გოლი!..
- გათავდა!
- რა იყო, ელიკო?
- სვალ მივდივარ სტადიონზე! ბატონო, ყველაფერი ფეხბურთზე ყოფილა დამოკიდებული!
- მხოლოდ ფრთხილად, საკუთარ კარში არ გაიტარო გოლი!
- თქვენისთანა კაცების ხელში ეგვე მოსალოდნელია!

გიგლა პახტაძე



— სულ რომ ანგელოზებად ვიქცეთ, ამათ ფასს მაინც ვერ დავაკლებინებთ!

ჭაანწყვეა

ქალების სასიხარულოდ, კისკისითა და ნავარდით, იმიდებით და ხალისით მოშარიშურობს რვა მარტი.

დღე დგება სანატრელი და ქალთათვის სასიქადულო. მეც ვხარობ, მაგრამ... ეჰ, წნევა მაღლა იწევს და მატულობს!...

დილით მეზობლის მანქანით უბნის ექიმთან წავედი (გუშინ ნევროზი დამეწყო, სიცხე მაქვს ოცდაცხრამეტი!)

— ხვალ რვა მარტია, იცოდეთ, ვერსად ვერ დავგვამალები! — მაფრთხილებენ და ღიმილით ინაზებიან ქალები.

რვა მარტი ჯერ არ მოსულა, მე კი დამაწყდა ნერვები, თუმც ყველას თბილად ვუღიმი, მეუღლეს თავზე ვივლები!

ვიცი, ხვალ მაინც გავხდები მანდილოსნების სამიზნე (ყოჩად მე, თუკი ხვალისთვის გული ან ჯიბე გამიძლებს!)

მეუღლის დების, სიდედრის როგორ გავუძლო კაპრიზებს? — რაც უნდა გითხრან, ითმინე! — ცოლი მთხოვს, მის თავს მაფიცებს.

ცოლის დეიდა, ვიცი, რომ დამიწყებს ჭკუის სწავლებას (თუ ორი ჭიქა დავლეი, სუფრას ავშლი და წავლექავ!)

ღმერთო, დღეს ძალა, გონება, ნიჭი და აზრი წამართვი, ოღონდაც ტკბილად, უჩხუბრად დამითავრდეს ჩემთვის რვა მარტი!

ვასტანბ გულუა
(ქ. ზუგდიდი)

ნარკმი



მხიარული ზიზზაბები

- **მამალმა** თქვა, რა ბედნიერი ვარ, სიდედრი რომ არა მყავსო!
- **ვირმა** თქვა, ვაი ჩემს თავს უბედურს, ჩემი ვირობა არ მეყოფოდა, შვილებიც მე დამემსგავსნენო!
- **ბრმა** თქვა, ეს რა ხალხია ბაღდადში, სულ ფეხებში მედებიანო.

აზიზა ეჟინი,
სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ქარაბმები

- **ამღანე** პარკეტსა და ცემენტს „ყლაპავს“ და მაინც უპიროს ეძახიან.
- **ხალოვნება** წარმოდგენა არა აქვს და წყალწყალა წარმოდგენებს დგამს.
- **მუშაოზი** დროს წელი სწყდება, მაგრამ მაინც მაგარი წელი აქვს.
- **ქორვაჭარბა** სასწორზე თითი დადო და სინდისზე ხელი აიღო.
- **ნაქლოვნება** თვალს ხუჭავს, სამსახურში თვალ-ღიას სძინავს.

მარიამ ფაშურიფილი
(ქ. რუსთაველი)

დიდობი

ცოლი: რას ეტყვი დედაჩემს ისეთს, რომ მისი გული გაახარო?
ქმარი: ქალბატონო, მე თქვენს შვილს თავს ვანებებ!

ივანე ოსაფიფილი

სამართალი

ხარაბუზა სპილოს აუხირდა: — ვინ გითხრა, რომ ჩემზე დიდი, ჩემზე ჭკვიანი და ჩემზე ძლიერი ხარო?
სპილომ წაუყრუა და ამით განრისხებულმა ნეხვის ჭიამ ბუზანკა-ლები მიუსია. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ზოგი ნესტოში შეუძვრა, ზოგი — ყურში, ზოგამც თვალის ამოთხრა დაუპირა. ითმინა სპილომ, ითმინა და ბოლოს ვერ მოითმინა, მოიქნია ხორთუმი და ბუზანკალები მიასრისა.

ამ ამბის გამო მეუზოვე გაასამართლეს, რადგან ნეხვის გატანა დავიწყებოდა.

მარიამ ბაჩრაძე

ფრაზები

- **ქალის** წლოვანება რომ დაახლოებით მაინც გამოიცნოთ, საჭიროა თქვენს ვარაუდს ათი წელი დააკლოთ. ქალი სიამოვნებით გაიცინებს და თავის ნამდვილ წლოვანებას მხოლოდ ხუთ წელს დააკლებს.
- **ქალის** ჩაცმულობის ღირებულება უკუპროპორციულია მისი ქმრის ხელფასისა — რაც უფრო უკეთესადაა ქალი ჩაცმული, მით უფრო გაფხვილია ქმრის ჯიბე.
- **უკუპროპორციულობა** შეინიშნება აგრეთვე ქალის განათლებასა და მის შვილიანობას შორის. მხოლოდ მეზობლებთან დამოკიდებულებაშია ქალი პირდაპირპროპორციული — რაც უფრო ავია იგი, მით უფრო მეტი ცუდი მეზობელი ჰყავს და — პირიქით.
- **მეცნიერება** რომ დაასკვნეს, მაიმუნიდან შრომამ შექმნა ადამიანი, იქიდან ჩანს, რომ შრომის გარეშე ადამიანი ისევ მაიმუნად იქცევა.
- **ქირურგებს** არ ეშინიათ ტვინის გადანერგვისა, მხოლოდ ტვინია ძნელად საშოვარი, რადგან იმით ყველა კმაყოფილია და არავინ არ გაიმეტებს შესაცვლელად.

მარიამ ნუსუბიძე

კომუნისტური საათი



ილუსტრაცია ლ. პრისტავისა

მ ო თ ხ რ ო ზ ა

ქალაქში სარკამართო ციებ-ცხელება დაიწყო და ჩემშიც მაშინვე გაიღვიძა ღებურტირის მდაბალმა სულმა. თუთუს დავურეკე.

— შენ რა, გძინავს?! — გაიკვირვა თუთუმ, — რა დროს გაპარავა, ქალაქში კომუნდანტის საათია შემოღებული, ქუჩაში მამაკაცს არ აჭაჭანებენ, გახვალ თუ არა, ჩაგაგლებენ!..

— როგორ, კაცო?!
— როგორ და, ჩვეულებრივ! გაძლიერებული პატრული დადის, ან ცოლს, ან დედას, ან ვინმე მანდილოსანს უნდა ახლდე, თანაც დატვირთული, სხვანაირად ვერ გაივლი!

— უტვირთოდ რომ ვიყო?
— ვინმე მანდილოსანს დაგამგზავრებენ — მის ხელბარგს აგკიდებენ!..
თუთუს დროებით დავემშვიდობე და ახლა ლიპარიტს დავურეკე. ისიც დავარდნილ ხასიათზე დამხვდა, გაჭეურასთან ვიხრუკებით, შემომტირა, გარეთ გავედი და უარესი დამემართა, ბარე შვიდ ქალბატონს მაინც მამსახურეს, სანამ მეზობლის ქალი არ გამომიჩნდა და, პურიით დატვირთული, შინისაკენ არ წამომიყვანაო.

ამ ცნობამ, ცოტა არ იყოს, შემაფიქრინა. გაპარვა სარისკო ჩანდა.

— ლიპო, ქალაქიდან გაპარვას ვაპირებთ მე და თუთუ.
— ე, ბიჭო, ნუ გამწირავ, მეც წამიყოლეთ! — აღმოსდა ლიპარიტს.

— ოპერატიული გეგმა არა გვაქვს, იმიტომ დაგირეკე!..
— დეტექტურ-ღებურტირული თავგადასავლები უნდა გადაგეკითხას!.. მე მგონი, კერენსკის გაპარვის ვარიანტი რომ დაგემუშავებინა, ყველას აჯობებდა, ოლონდ კაბა აღარ ივარგებს!.. ჯინსი და ტყავის კურტკა „მოლნიით“ (ლილების გადაკერება რომ არ დაგვჭირდეს), ფრჩხილებზე — ლაქი, თხაზე — პერეკისი, წარბ-წამწამზე — საღებავი, ჩექმები მაღალ ქუსლებზე და სიგარეტი...
დავთქვით და, ერთი საათის შემდეგ უკვე გადაქალებულ-გადაქანებულები სამივენი სასურსათო მაღაზიის წინ შევიყარენით. პატრული მოგვადგა, თავაზიანად დაგვიკრა თავი და ერთი ახმახი მოგვიჩინა მსახურად. ხელბარგით დავტვირთეთ და ტაქსის გაჩერებისაკენ გავიძლოლეთ.

რუსთაველზე რომ გავედით, ლიპარიტის თანაკურსე-

ლი ხოზიკა შემოგვეყარა, ვილაც ქალბატონს სახედარით დაესაბალებინა და წინ გაეგდო. ყელი გამოვუსწრეთ, არ გავთქვავო, მაგრამ მძიმე ტვირთისაგან ისე იყო ხასიათწამხდარი, რომ ველარ მოითმინა და ჩაბლაქულა ესენი კაცები არიანო!..

— სიმონ! შეაყოლე, სანამ მთელი ხარ! — რიტა და სიგარეტის კოლოფიდან წიკპურტით გამორეკა სიგარეტები (ლიპარიტს ახლა რიტა ერქვა).

ხოზიკა კი მოვიშორეთ, მაგრამ ტაქსების გაჩერებისაკენ აღარ წავსულვართ. ის ქალბატონი სწორედ იქით მიუძღოდა თავის „რიქშას“. ჩვენი ახმახი მსახური ვილაც მოხუცებულ ქალს დავეთმეთ და ბაგებისაკენ მიმავალ ტროლეიბუსს დაველოდეთ, თუმცა ტროლეიბუსი ვინ გვაკადრა, პატრულმა მსუბუქი მანქანა გავვიჩერა და მის პატრონს — ჩვენს კბილა ბიჭს უბრძანა, წყნეთში ავეყვანეთ. მის დაპირებას არ ენდო და თვითონაც ჩაჯდა მანქანაში.

წინა სავარძელზე იჯდა და სარკიდან თვალებით გვესიყვარულებოდა. მერე შემოგვიმღერა კიდევ, — „ამ ჩემ ჭაღარას გაზაფხულის ჭაღარა ჰქვია“-ო. რაკი შევატყვევო, გვეფრონცქებოდა, ხმები შევაშველეთ.

სიმღერა არ ჩაგვეთავებინა, რომ კაცმა ანაზღად მძლოლს უყვირა:

— ახლავე გააჩერე! ესენი კაცები არიან!
ქალიშვილებივით ავწრიალდით. რიტამ გალაქული ფრჩხილები ღაწვის თავზე გაიმწკრივა და ლურჯად გადადღღაფული წამწამები დააფახულა. თუთუმ მინაზეებით შესცინა მილიციის კაპიტანს, მე მხრები ავიჩერე, ვითომდა, ეს რა გაუგებრობაა-მეთქი.

კაცმა გვიყურა, გვიყურა და დაეჭვებით გადააქინა თავი.

— სიგარეტის მწვეველ გოგონებს საიდან უნდა ჰქონდეთ, კაცო, ასეთი თავანკარა ხმები?! არა, არა, მილიციაში უნდა წამობრძანდეთ!

მანქანა შემობრუნდა და კვლავ ქალაქისაკენ ქნა პირი. ავტირდით.

— ეს მე არა ვარ!.. ეს ქალების კანონია, იმას მიჰყავხართ უკან! — გვებოდიშებოდა კაცი, — ქალები კი, მოგესხნებათ, რა ხალხია, მათგან არავითარ დანდობას არ უნდა ელოდე!.. ექვსი რძლის მამამთილი ვარ, ექვსი მძახალი კიდევ ემატება ზედ — ჩემი შვილების სიდედრები, ერთს კიდევ დედის დედა ჰყავს... ცამეტი... ეშმაკის დუჟინი გროვდება, მოდი და, ნუ დაემორჩილები?! თანაც სულ ფოცხვერაშვილები, შავდათუაშვილები, ვეფხვაძეები და ტორაძეები არიან ჩემი მძახლები... აღარ ვიცი, რომელი ავირჩიო?!
— პროფავაშირებს უნდა მიმართოთ! — ურჩია თუთუმ.

— ქვრივ მამაკაცთა კლუბის წევრი ვარ, მაგრამ ეს კლუბი ზედამხედველობის წესით შვილმკვდარი ნასიდედრალეების კორპორაციას ეკუთვნის და ამიტომ ბევრი არაფერი შეუძლია! — ამოიოსრა პატრულმა და ბაზრის მისადგომებთან ჯგროდ მდგარ სოფლელ ქალებთან მიაცენებინა მანქანა.

— ქათმებით სავსე გალიებს ბაზარში შეუტანთ, იქიდან კი სხვა მანდილოსნებს დამეგზავრებით, მგონი, მილიციისას, ისე ეგ გალიები გირჩვენიათ! — მოწყალეა მოილო პატრულმა და დასძინა: — ჯერ პირი დაიბანეთ!

შადრევანთან მივედით, ხელ-პირი წავიწყუმალეთ, გალიები დავითითოეთ და ქალებს ბაზრისაკენ გავუძეხით. გალიებში ჩვენსავით მსოლოდ ყვინჩილები ემწყვდია, არც ერთი ვარიკა არ ჩანდა. არც ისინი ყიოდნენ და არც ჩვენ ვიღებდით ხმას. თავაჩქინდრულები ვუახლოვდებოდით სარკამართო ბაზარს.

წინ ქუჩის საათის ციფერბლატი მოჩანდა, ისარი რვიანთან იდგა და განძრევას აღარ აპირებდა. ყველა სამამაკაცო დაწესებულება — სახინკლე, სამწვადე, სალობიე, საჩებურეკე — დაკეტილი იყო.

კომუნდანტის საათი გრძელდებოდა.



ქალი — რას დანატყობავთ, მე უფასო ჩემს პოეზიას აწერს...
ქალი — ვინ ქალი?
ქალი — ვინ და ჩემი ხალხი?
ქალი — მე ჩემს არსებზე გელაპარაკები, არ ვადავირე?
ქალი — შენ...
ქალი — რომელს შეიძლება-თქვა-მოეჭი, მე უფასო, ასე ვაგრძელდეს-მოეჭი, ჩემს პოეზიას, სხვა თუ არაფერი, ქართული მათზე იყოს-თქვა, მე უფასო, შენე ხომ იყო, ზეინამ, რა თვამის გასწავლი ჩემი ასეთი? მამათა რა მოლოდინს შექმნიდა იყოს: ამაღლად თუ არა, მოაღებდეს უვალუდის ხომავად, მავანიო რა ლეკვა და გრამათა იფიქროს, მე შეიძლება შენ რომ იცოდეს ცოდად მაგარიც გვეყავი ბედნიერი, ურთულად ისე ითმავდი!
ქალი — რა უნდა ითმავდი, ქალი, მესამე ქვაზეც წყევლა უტყვი, წინას წინას ხუთი მოიყარეო სახმადე.
ქალი — ვინ, ქალი, ადავირე?!
ქალი — ადავირე რა, უფროსა ჩემ სახსნი?!
ქალი — ამა?!ქალი — მე ჩემს რომაულზე გვერებო?
ქალი — არ ვადავირე?! სიდა ჩემს მუცელს ქართული რაიმე უნდა მოეღვინებო-თქვა, მე უფასო, მამა არ ვახს მიმართულად თუ დედა-თქვა, მაგი რიგზე ვაწეს ვერვარს ხედა, ვიდე, ვიკლავდა, არ სავარაუდოდ სადაღვრებო ირადეს, წინაშეადა მთელს და დავაზე ვუყუხუდი მავანზე, ხელს მოაქვდა დასუკად მავანს წინაგვიანს ვიყო, ქართული მოლოდინის საღვრებელი დედა ვრცელად, ვინ ადარ ახმეს და რა ადარ ახმეს: ეს ვართმას შეუძლია, ის ჩაბრუნებს მთელი



ლო, ეს ამინდის დაწყებითი, ერთ სიტყვიო, მიიღო ხუფ რა პირდაპირად მისტყვიდა, დედა მოკვდის დღეც მე გასა ამინდო ბოლოს მიმტყვიდა, წინაშეადა, მამა, მესამე მაგარიც!
ქალი — რას ამბობ, ზეინამ, მავა შენეულად?
ქალი — გეშლება და იგია, მოიხმებ ჩაიგრა წელს!
ქალი — ვადავირე შენ, სო იფი! ახლავა ჩაიგრა-თქვა — პირდაპირ ქართულია წინაშე ჩემს, მთავრ წელს — ზეინამ, მესამე!
ქალი — ქართულია წინაშე არსადრის არ ჩაიგრა-თქვა.
ქალი — ვინ და, ჩემი ხალხი?
ქალი — არ ვადავირე? მე ჩემს არსებზე გელაპარაკები.

პოეზია, ისე გეუბრები: ვეჭი რა ლენე ვიხმარო-მეოცა-თქვა, მე უფასო, რეპერტორი არ ვალა-თქვა, მაგარი ისტორიისა სხვა წყევლა მამათა-თქვა, ვადავირე, იმასმან, შენე რომ იცხვრები, წყევლა-თქვა, ვადავირე-მოეჭი, შენე ხომ იყო, ზეინამ, რა მავანი სახელისადაცა, რიგად არ უნდა მიხედვებო, ზალა ვადავირა ამბობი-თქვა, ჩემზე შეინა-თქვა, ახლავა, მთელი და კონსულენსი თუმა, ასობი რომ მიიკლავ, ერთი ვიყო წაიკლავდა: — აფიფა, ვიყო, დანაწილად სახლში წყევლა, დღიშემ აფიფა, შენ რომ ვადავირე, ხომ ვადავირე, ახლავა მესამე ვიყო აფიფაში! ასობი თქვა, შენ იქ თუამისი სიგე სამი ბოგნი მთელად და სხვადა აფიფა ლეკვი-თქვა, მავანი სახელისადაც!
ქალი — მავა აფიფა-თქვა! სტორიისა.
ქალი — ვადავირე! ახლავა-თქვა!
ქალი — შენ მასწავლებ რამდენჯერ უნდა წაიკლავინ ხალხი, დასავლში აფიფა რომ არ ქოდა, ფიფა მავანი ხომ არ ვადავირე! ახლავა!
ქალი — ისტორიისა რა ამბოინა უნდა ვადავირე, ქალი?
ქალი — ისტორიისა ქა ანა ფიფა-თქვა.
ქალი — არ ვადავირე! ახლავა ვანი მოიწვეს!
ქალი — ვიფიფა ვანი ამ მიიკლავ!
ქალი — ვინა, ქალი, ვიყო, ჩემი ასობი!
ქალი — მე ჩემს ხალხზე ვადავირე!
ქალი — შენ არსობს მამათა, ვადავირე, ვიყო!
ქალი — შენ რა ვეჭობ, ვადავირე! ბოგია!



ახალგაზრდობა-ძირის გასიძვრება

ძირის სიძლიერა

მოყვარე ცოლ ერთგული, თვალის და ტანის, მშვენიერი სულიც, თვალის მოყვარული, ჩემს გვირგვინად შობილი, ჩემს სასახლედ მისული, გულსაქვები სიკეთი, გულსაქვები ოსტული, შეიღწევილი ღია და მოყოლილი მეთელი, სიხარულს მთავრული, სიყვარულს მთავრული!

ცილის სიძლიერა

მოყვარე ქარი ერთგული, თვალის და ტანის, ცხოვრების რომ არ უშურებს ვიწრო ჩუქურბუნადა, გულსაქვები, მართალი, სასიკეთოდ მოვაქვ, ბიჭური ბიჭური და სიხარულს მომტანს!

ბიძობის სიძლიერა

ბიძობის სიძლიერა

სარესტორნო გრაზდობები

რთული წინადადება: ლუიზა, რომელიმე ახლანდელ დამათავარი უმაღლესი სასწავლებელი და ფილოლოგიის დიპლომი მიიღო, მისი დანაშაულები რესტორანში ოფიციალურად მოიწვიო და დღემდე ასმინეთიანია.

მარტივი წინადადება: ლუიზას აქტი შეუღბინეს.

თანწყობილი წინადადება: ფილოლოგი ლუიზა ოფიციალურად მიიღეს.

ქვეყნობილი წინადადება: იგი ასპიზინგებში მიიღეს.

ქვედგმები: დამტარე ლუიზა, მემამულე: ლუიზა ტირის, ვითარების გარემოება: „ლუიზა“ ანგარიში, აფიფის გარემოება: რესტორანი „ახა, გა-მინსია“!

ფროის გარემოება: საღამოს 10 საათი.

დამატები: ოთხი ულუფა ჯიჯირი და ოცდა-სული მათი ზედაშე-განაზღვრული: სამი სული!

ზნისა: ზეინამი-თქვა სახელი: სარბი.

ზნისა: ზნისა: მომტანად.

წინადადება: დანაშაულის ანგარიში.

არბიები: სახელი: ციხე.

ზინა ვეაღვრვილი

გან. 8. პედაგოგიკა

უხსოვარი იუპირი

— ძვირფასი ჯეკსონო, ვიცი, ძალიან ვიყავი ჩემი ქალიშვილი და ვესურე ჩემი დანიერობი, თუმცა, დაპირებულებით ამ უნაირზე დედაბრე, გაეპირებდი და მოელოდი.

— სერ, დიდად მასწავლობა, მაგრამ ჩემი მხრივ მტკბარე უსწავლობა იქნება, ერთადერთი კლდისადაც თუ წაფარებდე!

თარგმანი: პედაგოგიკის თეორია

მინიატიურები

ქალი: გაიხსენე შენი წარსული, ნათხოვარი რა ახლა რომ გვევა ქორწილი!

კაცი: უზარმაზროსა შენ გაიხსენე, სივარდი რომ არავინ ვაბოვი!

- თვენი ცოლი ჩივის, რომ არც ერთი ბედნიერი დღე არ გაუტყურებია შენთან!
- სიყვარული მართლმ მართლ შენგულიო ხუთჯერ ირიადა!
- ამ კვანს არავიფიფა მარა რა აქვს?
- როგორ არა, ასეთივე აფიფა დირებტორის ცოლი!
- შეიღობ, ვერ შეტყვი, ხად ჩერდება ამ ყველაზე ახლის აფიფაში!
- შექინსინათა!

აბიტირებები: ბილეთის ვერც ერთი საკითხი ვერ გავიყვამს!

- მერც, მოხაფიფებელი დრო არ მოივებს!
- ეო, ერთი წელი!

ნაწილი ჯაბახიშვილი
(გურჯაანის რ-ნი)

თეორია ჯიჯირიანი
(ქ. ჯიჯირიანი)

იყოცნეული, მამაკაცი!

რადგან დღეს ჩვენი დღე არის, ხან ვეგობი, ხან ვეღრობი, ხან ვეკავა, ხან ვეკავა!

ხელის გვირგვინად ვაწი, ვაწი! არ ვაბოვი პირდაპირ სიყვარულით, არც ვინდა სიყვარული ვაბოვი, რადგან დღეს ქალის ცაცხვანი ბერიკითხვა ვაწი ვაწი! თანადავროვი ვაწი ვაწი!

ზიჯან ქარი ცოლს უფრო მეტად და ცოლი ქმრის როლს ასრული. ამ თვენი ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ჩვენ შეიღობ დღეს ვაწი ვაწი! თმის ზეინამ ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! დროს ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! არ ჩაიგრა-თქვა ქალის: ჩვენს ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ჩვენ ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ჩვენ ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! თვენი უფრო ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! და ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი! ვაწი ვაწი ვაწი ვაწი!



— რა მოხდა, შე ქალო, ვერ ხედავ, ანგელოზმა მომაცილა?!

ხსოვნა გულისა

მინიატიურა

— ქორწინების დღეს ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი რომ მისასხოვრე, აფსუს, როგორ გიყვარდი მაშინ! — გაიხსენა ქმარმა, — შემდეგ კი უკანვე გამომართვი და გაყიდე! — სინანულით გადააქნია თავი და ცოლს შეხედა.

— იმ ფულით საძინებელი ვიყიდეო, აღარ გახსოვს? — მოაგონა ცოლმა.

— კი, მაგრამ, შეყვარებულნი ხის ტოტზეც ათევენი ღამეს.

— შენ ის ტოტი დადი ხანია მოჭერი!

— ცდები, ძვირფასო, იმ ტოტმა შენი თავყვანისმცემლების ალერსის სიმძიმეს ველარ გაუძლო!

გუხუბი ფოცხვერაშვილი

— ასე შევალ შინ. ცოლი დარტყმით რას გახდება. იმასაც ვნახავ!



სარკვევები

სერო

თავი აქვს მართლაც, პირველი კლასის, თავზე ტყედ სეროს ქონორი აზის, ცოლი ითხოვა და საკუთარი თავი, ვით თასი, მიართვა ნაზის.

... ბნელში ჩაკეტეს, რადგან ცხრა თვეში, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაფლანგა ასი... და მიხვდა ნაზი, რომ სეროს თავი გარდამავალი ყოფილა თასი!..



რუგაია

თუ სასიამორო მომაკითხავს ბინაზე ღამით, და ღვინის ნაცვლად ბრილიანტებს მომიტანს ჯამით, თუ შევაგინო, ძაღლისშვილი მიწოდეთ მაშინ, ან თუ დახვარბდე და „ჟიგული“ ვინატრო წამით!

შინაპარას

არ ინდომე ქმარი, შვილი, არ გაპყევი „შენზე ნაკლებს“! ბულდოგს დედობ და ბულდოგიც ყფით „დედას“ დაგიძახებს!



იუმორის სცენარი **ნიჟია**

რვა მარტი ჩავს ოჯახში

ექვს მარტს, როდესაც დამიწყვებს
ცქერას მეუღლე თვალში,
შვიდ მარტს გავდივარ სახლიდან,
ცხრა მარტს ვბრუნდები სახლში!..
და როცა ცოლი გამართავს
ოდნავ მომკაცრო კამათს,
რომ არ გაბრაზდეს ბოლომდე,
ცხრა მარტს ვულოცავ რვა მარტს!
თუ უსაჩუქროდ დამლანდავს,
ცეცხლით ევსება თვალი
და ვირუსული გრიპით
მებრძვის ოჯახში ქალი!..
მომისევს ბავშვთა ოთხეულს,
ილეთს ვიმარჯვებ ნაჩვევს
და ვიბრძვი „გუნდში“ იმისთვის,
რომ სამეულში დავგრჩე!
უმცროსი გოგო პიჯაკის
ჯიბეს უკეთებს ილეთს,
კანფეტის ნაცვლად ნახულობს
ტროლეიბუსის ბილეთს!..
თვალყურს ვადევნებ გოგონას,
მივუწონდები ახლოს,
ვინ იცის, იქნებ ჯიბეში
სურდა ფულებიც ნახოს!
უცებ ფიქრები აშლილი
გულში იმედებს ლამბავს,
ცოლს ქალად ვაწვდი, ჩემს
ლექსებს

ქალი ნერწყვივით ყლაპავს!
მერე გაისმის ქუხილი,
ღრუბლებს ვაგროვებ ნაშალს,
თურმე იმ ლექსებს კითხულობს,
სხვას რომ ვუძღვენი შარშან!..
ჯერ ჭიქა ტყდება სმაურით,
მერე – ლარნაკი ბროლის!..
პარკუიანის პასივით
უთოს „მაწოდებს“ ცოლი!..
მომცვივდებიან ბავშვებიც
და მიყვირიან მწარედ.
თავს ვღუნავ წელში მოხრილი,
სწრაფად გავრბივარ გარეთ!..
... გამთომა დილის ქარ-სუსხმა,



ველარ ვაბრუნებ ენას,
კარში ცოლ-შვილი დამდგარა,
მარტო მე მირტყამს პენალტს!..
„გეყიდა რამე ცოლისთვის! –
ციდან მიყვირის მარტი, –
ერთი საჩუქრის გულისთვის
კაცი ლტოლვილი გახდი!“
უნდა ვიღონო რაღაცა,
რომ გადავურჩე ავდრებს,
ისეთ საჩუქარს ვმოულობ,
ტანში თეფშივით მამტვრევს!..
ვბრუნდები უკან! დღეიდან
გამოცდილება კი მაქვს,
და სახლში ცოლის საჩუქრად
მამალი გრიპი მიმაქვს!

ანა + კრემონი, ანუ ანაკრემონტული ლექსი

„კენტს“ ვაბოლებ, კონიას ვსვამ,
ფულიცა მაქვს მეტი სხვაზე,
საქართველოს ცისფერი ცა
ბერეტივით მადევს თავზე.
მყავს „ვიგული“ 12 თვის,
სშირად მეოთხეში მაგდებს,
140-ით ვერეკები,
ინსპექტორი ისე დამდევს!

მადარებენ დაქალები
შელის ნუკრს, ზებრას, ზოგჯერ
ირემს,
სარკესთან ვარ, საღებავით
ლოყას თვალთან ვაკავშირებ.

შევექცევი ღამით მწვადებს,
დილით მიყვარს ძილი წყნარი,
საყვარელი ისეთი მყავს,
მიმიქარავს მასთან ქმარი!

გუშინ ახალ „დუბლიონკას“
მოაყოლა ოქროს ტუფლი,
მისი ძირითადი ცოლი
რა ხანია, გახდა დუბლი!



ყური ჩამიბრილიანტა,
ყელი ჩამოქოქოქვარა,
თითი ჩამომიპლატინა,
ფული ჩეჩქად მომყარა.

ახლაც ორი მკლავის ნაცვლად
ყელზე მახვევს ოქროს თოკებს!..
ცუდი ზნე აქვს ჩემს კრემონტის,
მუდამ ასე მაწიოკებს!

თვეში ერთხელ ცოლთან ათევს,
დაიტანჯა, მოკვდა კაცი!..
ლექვი მომცა ისეთი, რომ
„მერსედესშიც“ კი არ გავცვლი!

დღეს სუფრაა, დიდი სუფრა,
გეტყვი, წარბის გაპუტვამდე:
დაქალებთან დღეს უნდა ვსვა
შამპანური გაგუდავამდე!..

ნამდვილად იღბლიანი კაცი იყო მალხაზი. ბავშვობიდანვე სადაც კი გამოჩნდებოდა, ყველას ყურადღებას იპყრობდა. სიმალღე არ აკლდა და მხრების სიგანე, მაგრამ მისი მთავარი ღირსება მაინც ხმა იყო — სიმღერა და გიტარაზე დაკრა.

სულ სიმღერითა და ენამახვილობით დაამთავრა სკოლა; ინსტიტუტიც. მერე დიპლომის ფრიალით აქ იმღერა, იქ იხუმრა. შეუძახეს აქეთ-იქიდან: იღბლიანი კაცი ხარო და კიდევაც გამოიჭიმა ისე, სულ უბრალოდ, ერთ-ერთი გაერთიანების დირექტორის მოადგილის რბილ და ლამაზ სავარძელში.

საქმით თავს დიდად არ იწუხებდა. სამსახურში უფრო ხელფასის მიღების დღეს ხელდავდენ თანამშრომლები, მაგრამ მისი სიმღერისა და ენაწყლიანობის გამო მაინც ყველა ღიმილით ხვდებოდა, ყველა პატივს სცემდა და მის საქმესაც სხვა აკეთებდა.

თვითონ უფროსსაც თავი მოსწონდა, მისი მოადგილე ყველა დიდი წვეულების მომღვინი რომ იყო, სუფრის დამამშვენიებელი და საჭირო კაცი. ერთს საყვედურობდა მხოლოდ, — თუახს რომ არ მოეკიდა. მალხაზი კი მუდამ სიცილით პასუხობდა:

— სად მცალია მაგისტრის, ბატონო, თავის მოსაფხანნი დრო არა მაქვს!

ერთხელ კი, ძალიან რომ გაუჭირდა დირექტორის და უფროსების საყვედურებსაც ვერ ასცდა, დაიბარა მალხაზი და უბოდიშოდ მიახალა:

— კმარა, ჩემო ძმაო, ასე ველარ გაგრძელდება! ნეტ!

— რა მოხდა, დავაშავე რამე თუ? — ააპარპალა თვალები მალხაზმა.

— კი, ბატონო, კი, სუფრის თვალი ხარ, შეუღარებელი თამადა, ვიცო, მოსაწვევებით ავსებული გაქვს უბის წიგნაკი, მაგრამ ამ სამსახურში თხოვივით რომ გაიდებ ხოლმე მაგ გიტარას, სულ აღარ გვირდება?

— ბატონო ტიტკო, შენი ჭირიმი!..

— მიხედუ საქმეს ნამეტანი უყურადღებოდაა მიშვებული ხალხი, შეგვაპოწმებენ და არ მოგვიწონებენ! ამომიდექი გვერდში ამ ცალუდელა კაცს!

— ბატონო ტიტკო, თხოვეთ სამინისტროს, მოგიმართონ მოადგილეები!

— აბა, შენ აქ რის მაქნისი ხარ? მოადგილე არ ხარ, კაცო?!

— ერთი მოადგილე რა ბედენაა ჩვენი დაწესებულებისათვის?! დედა არ მომიკვდეს, უხერხულიცაა. საჭიროა ავტორიტეტისათვის, დამიჯერეთ!..

— მორჩი მატრახაზობას, მალხაზ! მიხედუ საქმეს! მოიკოტლებს დისციპლინა, გახშირდა უმიზეზოდ გაცენა-დაგვიანებები! გეგმა ჩაგვივარდება და არ გვაპატიებენ! არ გეყურება ჩემი?! — წამოუნთო ტიტკო.



მომსრობა

— თქვენ გინდათ, რომ მე, მალხაზ დიდებულიძე, თქვენი მოადგილე და საზოგადოების თვალში არცთუ მთლად „პეშაკი“, საჭადრაკო ერთი თუ ვიტყვი, დავდგი დილაუთენია კარისკაცად და წიწილებივით ვითვალთვინებ თანამშრომლები, ვინ მოვიდა და ვინ არა?! სასაცილოა! სხვა თუ არაფერი, მე ჩემი განრიგი მაქვს!

— მალხაზ დიდებულიძე! სახუმაროდ აღარ გვცალია!.. ჯერ საქმე, მერე სიმღერა! ხვალეიდან ახალა დღე იწყება, გამიგე?! ჰოდა, მიხედუ საქმეს!

— კი, ბატონო, ხვალ დიდიდანვე შევამოწმებ დისციპლინის საკითხს, მაგრამ იცოდეთ, მინისტრის მესამე მოადგილის ნახოლარა ქალიშვილი, „ნოლ პიატს“ რომ ეძახიან, რაკი რიგით მენტუთა, დაბადების დღის აღსანიშნავი წვეულება აქვს, სადაც თქვენი მორჩილი მონა თამადად არის მიწვეული, და არ წვად, პასუხი კი თქვენ აგეთ! მეც კაცი ვარ, რა ჰქნა, ათად ხომ არ გავიხილავი?

— მალხაზ... — გატყდა უცებ დირექტორი, — კარგი ახლა, ნუ ჩაუშნამებ წვეულებას იმ კაცს! რაღაცნაირად შეუთავსე ერთმანეთს, ჩემო ძმაო, სამსახური და თამადა! ასე ქენი და მიმიხედე დისციპლინას! ნურც შენ დაიგვიანებ და სურც სხვას მისცემ უფლებას, რომ... —

— ა, მაგის პირობას ვერ მოგვემთ, ბატონო! ნეტ! — ხელი გაასავსავა მალხაზმა.

— აბა, არ ვიმუშაოთ წესიერად? — წამოუნთო ტიტკო.

— თქვენ გგონიათ, ასაგდები დაჯალება მინისტრის მოადგილის სუფრის მაღალ დო

ნეზე წარმართვა?! სცადეთ! — გათამადა და გაიფხორა მალხაზი.

— ადამიანო, იმავე მოადგილემ რომ შეგა გამოწმოს, არც შენ გადავიცემს! თუ შენც და არც მე, დამიჯერე!..

— ჩემი დარდი ნუ გექნება, — ჩახსჩხტა თა მალხაზმა, — მე იღბალი წამკრავს ხელს.

— კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს! — ნაღვლიანად თქვა ტიტკომ.

— კოკა რა შუაშია, იღბალია მთავარი! — უმატა სიკილს მალხაზმა.

ამ დროს მდივანმა ზიზილომ შემოიხედა კაბინეტში და გაფთრებულმა მორიდებით უთხრა უფროსს:

— ბატონო ტიტკო, სამინისტროდან დარეკეს!..

— რაო, ზიზილო, რა გვინდაო? — უხალისოდ ჰკითხა დირექტორმა.

— სამშაბათსო, კოლეგის სხდომაზეო, დაუგვიანებლად გამოცხადდნენო, უფროსი და მოადგილეო!..

— დაუგვიანებლად გამოცხადდნენო?! — მალხაზს მიაჩერდა ტიტკო.

— ისე ოფიციალურად თქვეს, ტიტკო ლუბტუვიჩი, გული გადამიქანდა.

— გაიგონე?! — ნიშნის მოგებით გადაულაპარაკა ტიტკომ მალხაზს, — ჰოდა, გატყდა კოკა წყალზე, იღბლიანო კაცო, გატყდა!..

— ლუბტუვიჩი, ჯერ ნუ გადავიწურავთ იმედს, ახლავე დავეურთავო მინისტრის მოადგილეს და, ლმერთმანი, თუ არ გაამართლებს იმ კოკას, არც მე მივალ მასთან სათამადოდ და ვხანავ როგორ მოალხენს იმ თავის საბატო სტუმრებს! — მუქარით იყვირა მალხაზმა, ხელი ყურმილისკენ გასწია, მაგრამ ზიზილოს დუღუნმა თითქოს გაყინაო, უცებ გაჩერდა.

— უი, დღევანდელი გაზეთი არ წაგიკითხავო, ბატონო მალხაზ? ის ხომ გაათავისუფლეს!..

— აბა, მთლად ჩამჩხვრეულა სანუკვარი კოკა! — ამოიგმინა ტიტკომ.

— რა ვიცო, ზოგს სიმღერაში დამსახურებასა და ლაურეტაობას აძლევენ, მე კი უანგარო სიმღერის გამო სურამის ციხეში ჩატანული ზურაბივით გამწირეს?! — მეკრდში მჯილი დაიბაგუნა მალხაზმა.

— არ გაგიგია, ჩემმა მეჩქემემ უნდა შეკეროსო?! ყველა ამ თავის საქმეს უნდა მიხედოსო?! გითხარი, ჯერ საქმე, მერე ტაშფანდურა-მეთქი და რომ არ დამიჯერე?! — ცარიელი იღბლით აპირებდა ცხოვრებას!

— ლუბტუვიჩი, ეგ არ თქვა! იღბალი დიდი რამეა, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ გამთვალა, გამთვალა იმ უსინდისომ!.. — გიტარა თოხივით მხარზე გაიღო მალხაზმა და კარისკენ ყურებჩამოყრილი წალახლასდა.

ნანა კანდელაკი

გაგანსება

- მამავ, მამავ, მამილო, ვის უცინი, ვისა?
- შენ გიციინი, ზვილიკო, დილა მშვიდობისა!
- ვარ გავიგა, ვინა ხარ, მიწის ხარ თუ ცინა?
- ემაგ ფულებს, უღმერთოვ, ვის უნახავ, ვისა?
- შენ გინახავ, ნათებავ ამოგაბალ მზისა!..
- რად არ გეხმის, დებილო,

ხარ ამდენი წლისა,
ერთი ფიქრი მაწვალებს,
ერთი ფიქრი მღლისა:
ხვალ რომ მოკვდე, ეგ ფული ვის დარჩება, ვისა?
— შენ დაბრჩება, მხოლოდ შენ, შენს სიცოცხლეს ვფიცავ!
— ხვალის ქათამს მე მიჭობს კვერცხი დღის დღისა, დღეს მჭირდება „მეყუთი“, დახალეჯო მგლისა!..
— მე კი მიჭობს, ამ წუთში გცნო სიკვდილის ღირსად, მგალი თვითონ დაგლჯავდას შენისთანა ზვილსა!

— შენს სიფათს რომ ვუყურებ, ზოღმით ვიკლავ უინსა, ნეტა ფულად გაქცია, ან იოზიან ჭინხადა!..
— შენზე ზრუნვით, უმნარავ, სიფრის ოფლი მდისა, და ვაი მას, ვინც მკვანდა შენებრ უტრუას ზრდისა!..
აბა, მებრ რა გითხრას, მკვლელო დედ-მამისა, მშობლების ურჩს, დამტანჯველს დეპრტი თვითონ სჯისა!..
ეთა სანგარაკამ (ქ. სოხუმი)

26.11 84



ვებოდა), შემდეგ მწიფე პამიდორით განითლდა და კანკალით აიღო კალაში. ხელი რომ მოვაწერეთ ვიღაცამ „გორკაო“ დაიძახა, თან აქეთ-იქიდან წამაქვხეს, შე გულსა, აკოცეო! ფოტორეპორტიორმაც სწორედ მაშინ გააჩხაკუნა აპარატი, როცა ჩვენი ბაგეები გუდრონწასმული-ვით შეეწებნენ ერთმანეთს...

— გეყოფათ! — გაგვითიმა ბოლოს ვიღაცამ. ასე შეუდგი ფეხი ბედნიერებაში!.. ვაი მას, ვინც ცოლის ფასი არ იცის ოჯახში! რა მოხდა მერე, თუ ზოგჯერ ცოლის საქმე შენ დაგაწვა კისერზე?! დიდი ამბავი, თუ ბაზარში წახვედი, კერძი აკეთე, იატაკი წმინდე, ჭურჭლეული რეცხე, მეუღლის კაპრიზები ითმინე, მისი წვევლა-კრულვა ერთი ყურიდან მეორეში შეუშვი, მისი ბრძანებები ისმინე და ასრულე, მის ნაცვლად მეზობლებს ბოდიში უხადა აწიოკებისათვის!.. ქალი ნაზი არსებაა და ყველაფერი უნდა უთმინო! აბა, ის რა ოჯახია, სადაც მარტო მამაკაცია უფროსი, სადაც ცოლი უსმენს და უჯერებს ქმარს, სადაც ყველაფერი ქმრის ჭკუაზე, მის ნება-სურვილზე სრულდება?! ვინც ქალს მოუსმენს, დაუჯერებს და მისი თვინიერი იქნება, ის ბევრს მოიგებს!..

ასლა მწარედ ვიგონებ იმ პერიოდს, როცა დილიდან საღამომდე ტელეფონის ყურმილზე ვიყავი ჩამოკიდებული, ჩემი ლამაზი, დაშაქრული სიტყვები უიღბლო პაემნებზე ქარს მიჰქონდა, ჩემი კონვერტები მთელ ქვეყანაზე მუქთად ნაწილდებოდა, ყოველ რვა მარტს სუთი თვის ხელფასი ნიავედებოდა, ჩემი გული ყველას სიყვარულს იტყვდა და ჩემი სიტყბუკე ნელ-ნელა უახლოვდებოდა სიბერეს...

დღეს ვზივართ ჩვენ ორნი და ველით ბუნების წყალობას — როდის შემოგვემატება მესამე არსება, წამოიზრდება, კისერზე შემაჯდება და მეტყვიის: „აჩუ!... აჩუ!“ თან ხელფასიდან უშვილობის გადასახადსაც აღარ დამიკავებენ და ჯამაგირს კაპიკ-კაპიკ ჩავაბარებ ძვირფას მუღლეს!

უცოლოებო! სანამ დროა, მომბაძეთ მე!

ჩაიწერა ვანო ცინცაძემ

სუცხადობა, მომბაძეთ მე!

(გვიან დაქორწინებულის მოგონება)

— თანახმა ხარ? — ჰკითხა ჩემს საბედოს ქორწინების სახლის რეგისტრატორმა. ჩემმა ბედის ვარსკვლავმა ცრემლიანი თვალეებით შემომხედა (არ ვიცი, მე შევეცოდე, გული რომ ახალდაკლული ქათამივით მიფართხალედა, თუ თავისი თავი შეებრაღა, ცოლად რომ მომყ-

„სიყვარულის წიგნი“

„სიყვარულის წიგნი“ გნატრობდი (არ ვაზვიადებ ოღნავ!). ვინც იმ წიგნისთვის მაწვალა, მას ეღოს ჩემი ცოდვა!

„საქწიგნმა“ გამოგვიგზავნა ეგზემპლარები მცირე, ლატარიაში დარიგდა, არ შემხვდა, გავიწირე!


ბაზის საწყობში ჩავედი, ცივი უარი მტკიცეს, მითხრეს, თითქოსდა მინისტრსაც მაკულატურით მისცეს.

„საქწიგნს“ ვეახლე და მმართველს ველოდი დინჯად დიდხანს.

— ვერ იშოვიო! — მდივანმა გულდამშვიდებით მითხრა.

გაუთხოვარი ქალი ვარ, უკმაყოფილო იღბლის!.. ვერც სიყვარული ვიშოვე, ვერც „სიყვარულის წიგნი“!

ირინე უზვერიძე



ლომისა



ნიუ-იორკში ოფიციალურად
36 ათასი უსახლკაროა რეგისტრირებული,
სინამდვილეში კი ეს მონაცემი ორ-
ჯერ მეტია და უმრავლესობას მარტონე-
ლა ქალები შეადგენენ.

გაზეთებიდან



სატირისა და იუმორის ყურო-
ნალი „ნიანგი“ № 5 (1663),
მარტი, გამომოს 1923
წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლშაქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ჭაბუა ამირჯიბი, ნოზალი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო-
ლუა, ნოდარ მაღაზონია
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიგვიძაძე, ნაფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 23.2.
84 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 6.3.84 წ.
ქალაქის ზომა 60x90 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, საღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბანი 1,7, სა-
ქართელოს კვ. ცვ.ის გა-
მომცემლოთა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 468. უე 10127
ტირაჟი 138.300. ყურნალი
გამომოს თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типографическое
издательство ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
იხდებიან 76137

გაზეთისთვის მარტივი ელ. ამერიკაში
КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ